გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების, 5 წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე:

1.1. ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული);

1.2. ხელვაჩაურის რაიონში სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500).

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების (ორი ობიექტი) წლიური სარგებლობის საფასური (სიმბოლური) განისაზღვროს 1000,0 (ათასი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

„დამტკიცებულია“

თვითმმართველი ქალაქის _ ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს შორის 2015 წლის 25 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით, პოლიკლინიკას, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული). ამავე პოლიკლინიკას 2018 წლის 18 მაისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის რაიონში სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500). მითითებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვადები ამოიწურა მიმდინარე წლის 25 იანვარსა და 18 მაისს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 20 ნოემბერს შემოტანილი N01-09/1215 (N31829/25) წერილით შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“ ითხოვს ზემოთ აღნიშნული ფართების, რომლებშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორიები, სიმბოლურ ფასად - 500-500 ლარად სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკა“-ს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი N55) მდებარე 572,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ. შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ. ფართი (I სართული) და ხელვაჩაურის რაიონში სოფელ გონიოში (ქ. ბათუმი, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი N2) 578,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობის პირველ სართულზე არსებული 192,66 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი №05.36.24.309.01.500), სიმბოლურ ფასად, 5 წლის ვადით, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს სარგებლობაში, სამედიცინო მომსახურების გაგრძელების მიზნით და სარგებლობის წლიური საფასური ორივე ობიექტისათვის განისაზღვროს 1000,0 (ათასი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების შპს „ქ. ბათუმის N1 პოლიკლინიკისათვის“ სასყიდლიან (სიმბოლურ ფასად) სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სარგებლობის ვადის განმავლობაში სარგებლობის უფლების მქონე პირის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარგებლობის საფასურის სახით ყოველწლიურად განხორციელდება 1000,0 (ათასი) ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი

ეგარსლან ლომაძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ჯანდაცვის სამინისტრო
შპს „ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა"

GEORGIA
Ajarian Autonomous Republic
Ministry of Health
„ Batumi Polyclinic №1" Ltd

6004 ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ. №2.
2,Tbel Abuseridze street, 6004 BATUMI

ტელ.(0422) 27 40 08
Tel: (0422) 27 40 08

№01-09/ 1126

26 ოქტომბერი 2018 წელი

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონი ლაშა,

გაცნობებთ, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 13 მაისის № 441 ბრძანების თანახმად ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოში (ქ.ბათუმი, აფსაროსის ქუჩის მე-3 შესახვევი №2) 578,0კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე №1 შენობის I-სართულზე არსებული 192,66 კვ.მ ფართის (ს.კ № 05.36.24.309.01.500) შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკისათვის" (ს/კ 245426392) უსასყიდლო უზურფრუქტის სარგებლობის 2 (ორ) წლიანი ვადა ამოიწურა 2018 წლის 28 მაისს და ასევე ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 08 დეკემბრის № 996 ბრძანების თანახმად ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი №55) მდებარე 572,0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს.კ 05.32.01.628) განთავსებული 426,40 კვ.მ შენობა-ნაგებობიდან 292,0 კვ.მ ფართის შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკისათვის" (ს/კ 245426392) უსასყიდლო უზურფრუქტის სარგებლობის 2 (ორ) წლიანი ვადა გავიდა 2018 წლის 25 იანვარს.

გთხოვთ ზემოთ დასახელებულ ფართებზე განთავსებული №1 პოლიკლინიკის გონიოსა და კახაბრის საექიმო ამბულატორიების შემდგომი სამედიცინო ფუნქციონირების მიზნით უსასყიდლო უზურფრუქტით სარგებლობის უფლება გაგვიგრძელოთ 2(ორი) წლის ვადით.

29988/26
29 10 26 წ.

პატივისცემით,

შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკის"

დირექტორი: თენგიზ შერვაშიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ჯანდაცვის სამინისტრო
შპს „ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკა"

GEORGIA
Ajarian Autonomous Republic
Ministry of Health
„ Batumi Polyclinic №1" Ltd

6004 ბათუმი ტბელ აბუსერიძის ქ. №2.
2,Tbel Abuseridze street, 6004 BATUMI

ტელ.(0422) 27 40 08
Tel: (0422) 27 40 08

№01-09/1215

20 ნოემბერი 2018 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ლაშა კომახიძეს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთთ, რომ ქ. ბათუმში, გონიოს დასახლებაში, აფსაროსის ქ. მე-3 შესახვევი №2-ში მერიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 192.667მ.კ.მ შენობა-ნაგებობაში განთავსებული შ.პ.ს ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკის გონიოს საექიმო ამბულატორიის უახლოესდღო უსურფრუქტის ხელშეკრულების 2 წლიანი ვადა ამოიწურა 2018 წ 18 მაისს. ასევე უახლოესდღო სარგებლობის (უსურფრუქტის) 2 წლიანი ვადა ამოიწურა 2018 წ 25 იანვარს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში კახაბრის დასახლებაში (აეროპორტის გზატკეცილი №55) მდებარე 292.0 კვ.მ ფართზე განთავსებულ კახაბრის საექიმო ამბულატორიას.

გთხოვთ ორივე (გონიოსა და კახაბრის) საექიმო ამბულატორიის ფართები ამჯერად გადმოგვცეთ იჯარის ფორმით სიმბოლურ (500-500ლ) ფასად, ჯამში სულ 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილება
№ 31829/25
-22- 11 2018 წ.
ფურცელი ____ ეტალონი ____) ____ დანართი

პატივისცემით

შპს „ქ.ბათუმის №1 პოლიკლინიკის"

დირექტორი: თენგიზ შერვაშიძე

245426392

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.32.01.628

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 902018021811 - 21/11/2018 17:22:25	22/11/2018 19:46:42

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ბათუმი			
05	32	01	628

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 572.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **22.05.01.073;**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 426.40

მისამართი: ქალაქი ბათუმი , დასახლება კახაბერი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 902018021811 , თარიღი 21/11/2018 17:22:25
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/11/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:25/01/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- ქონების უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:14/04/2011 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე: **აღწერა:**
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.36.24.309.01.500

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 902018015096 - 20/11/2018 12:08:43	**20/11/2018 16:53:05**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
ბათუმი				
05	**36**	**24**	**309**	**01/500**

მისამართი: რაიონი ხელვაჩაური , სოფელი გონიო

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **საკუთრება**

ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**

დაზუსტებული ფართობი:578.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი: **22.09.01.374;**

შენობა-ნაგებობები: **N 1 საერთო ფართით -218.02 კვ.მ**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 902018015096 , თარიღი 20/11/2018 12:08:43
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 20/11/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N1/1-904 , დამოწმების თარიღი:22/03/2016 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:245576826

მესაკუთრე:	**საკუთრების ტიპი:**	**საკუთრება:**		**ფართი:**	**წილი:**
სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	საკუთრება	**ფართი**	**სართული1,**	192.66 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აკრედიტებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge